პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 43-ე წელი
№ 215 (12423) | ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც წინათ დაშაშრულ მიწას თაკარა წვავდა, ახლა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული თუ უცხოური ვაზის ზვრებია გადაპიმული. სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ორას სამოცდაშვიდი ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახები აქვს, სუფრის ყურძნით ამარაგებს არა მარტო თბილისსა და რუსთავს, არამედ სსრ კავშირის ბევრ სამრეწველო ცენტრსაც. სამგორში ახლა ბარაქიანი შემოდგომაა, სულ უფრო ჩაღდება რთველი.

სურათზე: რთველი სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე — ყურძენს კრეფს ბ. ბედოიძე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესი

კეთილი იყოს თქვენი გამოსვლა, ძვირფასნო სტუმრებო!

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები, მევენახეები, მეღვინეები მიიღებენ მონაწილეობას კონგრესის მუშაობაში. ისინი გამოვლენ საინტერესო მოხსენებებით, გაეცნობიან საქართველოს მევენახეობასა და მეღვინეობას, დაათვალიერებენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს.

ქვემოთ ვბეჭდავთ კონგრესის რამდენიმე მონაწილის წერილს.

ახალი, სასარგებლო...



საქართველო ვაზის უძველესი კულტურისა და თანამედროვე ღვინის მრეწველობის ქვეყანაა. ამიტომ აგირჩიეთ მევენახეობა-მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესის მეკრების ადგილად საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობა ძირითადად, წამყვან დარგს წარმოადგენს. მას დიდი ისტორიული წარსული, საუკეთესო აწმყო და კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები აქვს.

ქართული სამარკო ღვინოები საკმაოდ ცნობილია და მათ ღირსეული ადგილი უჭირავთ საბჭოთა კავშირის ღვინოების ასორტიმენტში. განსაკუთრებით თაყვანს ვცემ კახური ტიპის ღვინოს — ტიბანეს, მასში შეხმატკბილებულია ქართული მეღვინეობის ტრადიციული ნიშანთვისებანი. მას ახასიათებს სხეულიანობა, სიგაკეცე, სიძლიერე, ექსტრაქტულობა, სპეციფიკური ხილის არომატი, მუქანჩიფერი, ჰარმონიულობა, სინოყიერე და კვეთითი მნიშვნელობის ნივთიერებათა საკმაო შემცველობა.

ყოველთვის მაღალ შეფასებას ვაკუთვნებ ქართულ სამარკო სუფრის ღვინოებს წინანდალს, ნაფარეულს, თელიანს, სვირს და სხვ. არანაკლებ ყურადღებას ვაქცევ ნატურალურ მოტკბო ღვინოებს და ქართულ შამპანურს.

მე და ჩემს მეუღლეს ბევრი კარგი რამ გვაქვს საერთო თბილისთან. იგი გამოჩენილი საბჭოთა მიკრობიოლოგია, მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული ღვინის მიკრობიოლოგიის დარგში, შრომების უმეტესობა შესრულებული აქვს ქ. თელავში, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში.

როგორც ჩემს მეუღლეს, ისე მეც ბევრი სასიამოვნო მოსაგონარი გვაქვს ამ დაწესებულებაზე. მე შევქმენი „ქართული ხერეში“ კარდანახის მიკრორაიონში ყურძნის ჯიშ რქაწითლიდან. მას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევენ დეგუსტატორები. აქ შევიმუშავე ღვინის სითბო-სიცივით დამუშავების ძირითადი კონცეფციები.

როდესაც ვათვალიერებ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს, განცვიფრებას ვერ ვფარავ. რამდენი რამ ახალი და სასარგებლოა გაკეთებული! აქვეა ჩემ მიერ კონსტრუირებული აპარატურა, მას ინახავენ და გულმოდგინედ უვლიან ჩემი ქართველი მოწაფეები.

ვუსურვებ ქართველ კოლეგებს, როგორც ეს მათ სჩ

პარტიული ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

კრიზისის მახვილი

კომუნისტების ერთ კრებაზე

ისინი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ და კრების დაწყების მოლოდინში ბაასობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს.

— თითქოს ჩემს გულში მჯდარიყოს, ისე ნათელი და გასაგებია ნადეედა ზაგლადას სიტყვები — თქვა მებოსტნე შაქრო მამეკაშვილმა — ჩვენს მეურნეობაშიც ყველა მუშა პატიოსნად რომ მუშაობდეს და კეთილსინდისიერად ასრულებდეს მინდობილ საქმეს, უხვი მოსავალი მოგვეგებოდა, ზარალი კი არ გვექნებოდა, პირიქით — დიდ მოგებას მიეცემოდით ქვეყანას.

— მართალს ბრძანებთ, — დაუდასტურა ზაქარია ჩიტიაშვილმა,—უქნარები, ზარმაცები და წუნისმკეთებლები ჩვენთანაც ბევრია. ამიტ გამო ვერ ვასწრებთ ნათესვაის დროულად დამუშავებას. მებოსტნეობის პიოველი, მესამე და მეოთხე ბრიგადების ცალკეულ ნაკვეთებში პამიდორი გადარგვიდან ორი თვის შემდეგ — იელისში გაითხნა. ისე წამოზრდილი იყო ნაცარქეთამა და სხვა სარეველა ბალახები, რომ პამიდორი ალარა ჩანდა. ამით ორმაგად ვიზარალეთ: ჯერ-ერთი, მოსავლიანობა შემცირდა, მეორეც — დამუშავება გაძნელდა და გათოხნაზე თითქმის ორჯერ მეტი შრომა დაგვეხარჯა.

— დღეში ძლივსძლივობით ვთოხნიდი 250-300 კვადრატულ მეტრ ფართობს ნორმით გათვალისწინებული ხუთასი კვადრატული მეტრის ნაცვლად. ამიტომ იყო, რომ თვეში 27 მანეთზე მეტი ვერ გამოვიმუშავე, — სინანულით დასძინა ივანე დოქიძემ. — და იცით ვის მიუძღვის ამაში ბრალი? ზოგიერთ ჩვენს ზარმაცი, უქნარა მეზობელს, რომელიც პატიოსან შრომას ბაურის და იოლი გზით ცხოვრებას ცდილობს...

— ჯეელი, საღსალამათია ლუბა ძაბაშვილი, მაგრამ წელს ერთხელაც არ გამოსულა ბრიგადაში სამუშაოდ, თავის საკარმიდამოს კი შესანიშნავად უვლის, — ჩაერია საუბარში ბრიგადური მარო ილურიძე. — განა ეს უსინდისობა არ არის — კომუნიზმის სიკეთეზე უარს არ ამბობს, უხვად იღებს და იყენებს, ხოლო კომუნიზმის საქმისათვის არაფერს აკეთებს, თითს განძრეულაც კი ეზარება. დროა დაეგმოთ და გაეკიცხოთ ასეთი ადამიანები, და თუ არ გამოსწორდებიან, გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან. ყველამ ღრმად უნდა შევიგნოთ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები: კომუნიზმი შეიძლება ავაშენოთ მილიონების შრომით, შრომით და მხოლოდ შრომით!

ჯგუფური ბაასი შეწყდა, როცა კომუნისტები დარბაზში მიიწევიან მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მაგრამ არ შეწყვეტილა ფიქრი ნადეედა ზაგლადას სტატიაში აღძრულ საკითხებზე. იგი წითელი ზოლიანით გაპყავ კრებაზე მოხსენებას და კამათს, კრების მთელ მსვლელობას.

პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. სუხიტაშვილი კრების წინაშე წარდგა შინაარსიანი კრიტიკული მოხსენებით. ამან განაპირობა კამათის ცოცხალი, მკეთრი, საქმიანი ხასიათი. ეს ხომ პირველი პარტიული რთველია, პირველი საანგარიშო-საარჩევნო კრებაა პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, იმ ისტორიული ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი და ნათელი პროგრამა. ამის შეგნება და დიდი პასუხისმგებლობა იგრძნობოდა როგორც მომხსენებლის სიტყვებში, ისე კამათის მონაწილეთა გამოსელებში. მათ ღრმა ანალიზი გაუკეთეს ერთი წლის შინაგნზე გაწეულ მუშაობას, აღნიშნეს ნაკლოვანებანი და მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზები, დასახეს მათი გამოსწორების გზები და საშუალებები.

მეურნეობაში 112 კომუნისტი მუშაობს, მათგან თორმეტი ბრიგადირია, ხოლო ოთხმოცი — უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური დოვლათის შექმნაში. ისინი განაწილებული არიან საწარმოო უბნების მიხედვით, და ბევრი მათგანი კომუნისტური შრომის მაგალითს გვიჩვენებს. მოწინავე კომუნისტთა შორის კრებაზე დასახელეს მებოსტნეები მართა ჯერენაშვილი, თამარ ძაბაშვილი, ვანო დოქიძე, ზაქრო ჩიტიაშვილი, შაქრო მამეკაშვილი, ვასო ბენეთიშვილი; მწველავები მანია მათიაშვილი, ანტონ ეპიტაშვილი, ლაზარე ბენეთიშვილი, ანტონ კეკელაშვილი, მიხეილ ივანიშვილი, მექანიზატორები რომან მათიაშვილი, ტარიელ ოშიყმაშვილი და სხვები. მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ კომუნისტთა შორისაც ჯერ კიდევ არიან ზარმაცები და უქნარები, ისეთები, რომლებსაც დაკარგული აქვთ მინდვრის მწვრმელის ღირსება და თავიანთი საქმიანობით არცხვენენ ლენინური პარტიის წევრის სახელს, შრომისადმი იჩენენ არაკომუნისტურ დამოკიდებულებას. კომუნისტმა ვლადიმერ მარუშაშვილმა თვითნებურად მიატოვა საკვებმომპოვებელი ბრიგადა და ეკრძო სამუშაოზე წავიდა. ასევე მოიქცა კომუნისტი იოსებ გუგუნაშვილი. კომუნისტი გიორგი ხახიაშვილი ფაქტობრივ მეურნეობის ქალაქში ბაზარზე ბოსტნეულის გაყიდვაზე ზრუნავდა, ბაზარზე ბოსტნეულის ფასი ბევრჯერ ალარ ეკარგებოდა, ბევრ ადგილზე ბოსტნეულის ფასი ალარ ეცემ

საკლესიო განცხადება

(დასასრული)

ლსკში და დაიკავეს ბაქო, საფრანგეთის ჯარები—ოდესაში, იაპონიისა კი—ზღვისპირეთში. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შექმნეს კონტრრევოლუციური არმიები კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის, ვრანგელის ხელმძღვანელობით, დარაზმეს და შეიარაღეს მთელი კონტრრევოლუციური ხროვა, ეს ნაძირალები. საბჭოთა კავშირის ხალხებმა მტკიცედ გადაწყვიტეს დაემყარებინათ თავიანთი წესები, რომლებიც შეესაბამებოდა მათს მისწრაფებებს, და ბევრი ძალლონე დახარჯეს და სიცოცხლე გასწირეს, რათა გაენადგურებინათ შინაგანი კონტრრევოლუცია და განედევნათ ჩვენი ქვეყნიდან უცხოელი ინტერვენტები.

საბჭოთა კავშირმა მოუხედავად კოლოსალური სიძნელეებისა. არათუ გაძლო თავისი დამოუკიდებლობისათვის ხრმოლაში, არამედ მთელ მსოფლიოს უჩვენა უპირატესობანი, სახალხო სოციალისტური წყობილებისა, რომლის დროსაც წარმოების მთელი საშუალებანი ეკუთვნის ხალხს, როცა ყველაფერი ხალხის ინტერესებისათვის ხორციელდება. მთელმა მსოფლიომ იცის რომ საბჭოთა კავშირი პირველი სოციალისტური ქვეყანაა, რომელმაც უდიდეს პროგრესს მიაღწია ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, პირველმა გაკაფა გზა კოსმოსში და წარმატებით განაგრძობს კოსმოსის ათვისებას. საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას თავისი უზარ ნაყოფი მოაქვს. ორი საბჭოთა კოსმონავტის მხრო

კ. მარჯანიშვილის იუბილესათვის

10 სექტემბერს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში კულტურის მინისტრის ამხ. თ. ბუაჩიძის თავმჯდომარეობით გაიმართა გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კ. ა. მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავის დღესასწაულის მონწყობი საიუბილეო კომისიის სხდომა.

კომისიის მდივანმა, თეატრის მცოდნე ნთელა ურუშაძემ გაცნო კომისიის წევრებს, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ღირსშესანიშნავი იუბილესათვის. მან თქვა, რომ საზეიმო საიუბილეო სხდომა გაიმართება 29 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში. იმავე დღეს გაიმართება მიტინგი კ. მარჯანიშვილის საფლავზე.

წინა დღით კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა შეხვედრა ცნობილ მსახიობებთან — სცენის დიდი ოსტატის მოწაფეებთან. სახელმწიფო სურათების გალერეის დარბაზებში მოეწყობა რეჟისორის შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა. რესპუბლიკის ყველა თეატრში, კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიმართება სპექტაკლები, ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი მოაწყობენ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას. გამომცემლობა „ხელოვნება“ უშვებს მონოგრაფიას რუსულ ენაზე კ. მარჯანიშვილის შესახებ. მასობრივი ტირაჟით გამოიცემა რეჟისორის პორტრეტი, საფოსტო ნიშნები.

თბილისის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება რეჟისორის მიერ დადგმული ფილმები, მისი ცხოვრებისადმი მიძღვნილი კინოსურათი. მოელიან სტუმრების ჩამოსვლას მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

დიდი ზეიმი გაიმართება რეჟისორის მშობლიურ სოფელ ყვარელში. ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა.

რაიონის მოსახლეობის გარდა დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები. აქ გაიმართება სეირნობა, ხალხური თეატრალური სანახაობა „ბერიკაობა“. მარანში, რომელიც მდებარეობს კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ქვედა სართულში, მოეწყობა რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორი გ. ბუხნიკაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები — რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი დ. ანთაძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი დ. მგელაძე, რეჟისორები ა. ჩხარტიშვილი, დ. ალექსიძე, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი — განმკარგულებელი რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. პატარაია, თეატრის მცოდნე დ. ჯანელიძე, წერალი მ. მრევლიშვილი და სხვები. (საქდესი).

კონგრესზე ქალაქ ლეიდენში

10 სექტემბერს ჰოლანდიის უძველეს ქალაქ ლეიდენში მუშაობა დაიწყო ფიზიოლოგთა XXII საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც განიხილავს ფიზიოლოგიის თანამედროვე მდგომარეობას.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვ. ვ. პარინი წაიკითხავს ვრცელ მოხსენებას „საბჭოთა კოსმოსური ფიზიოლოგიისა და მედიცინის უახლოესი მიღწევების შესახებ“.

კონგრესი მუშაობას განაგრძობს 18 სექტემბრამდე. შემდეგ კონგრესის მონაწილეები დაათვალიერებენ ჰოლანდიის ღირსშესანიშნაობებს.

საბჭოთა დელეგაციაში ოცდაათი მეცნიერი შედის. მათ შორის არიან ბიოლოგები: აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, ვ. ნ. ჩერნიგოვსკი, პ. კ. ანოხინი, ე. ა. ასრატიანი, მ. ნ. ლივანოვი, ს. ვ. რუსინოვი და სხვ. საქართველოდან აკადემიკოს ი. ბერიტაშვილთან ერთად კონგრესში მონაწილეობას იღებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ნარიკაშვილი.

საბჭოთა დელეგატები გამოვლენ მოხსენებებით პლენარულ და სექციურ სხდომებზე, აგრეთვე სპეციალურ სიმპოზიუმზე, რომელიც კონგრესის პარალელურად გაიმართება.

ა. მიქელაძე.

ვარძია ხიბლავს მნახველს

— „ადამიანის ხელქმნილი საკვირველება!“ — დიდხანია ასე უწოდებენ კლდეში საოცარი სიზუსტით, ხელოვნებითა და უბადლო კომპოზიციით გამოკვეთილ ციხე-ქალაქს დიდებულ ვარძიას.

ახლა, ტურისტული სეზონის პერიოდში ფუტკარიკით ესევა მნახველი კლდის ქარაფს, რომელშიც ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსია გამოკვეთილი.

თამარის დროის ისტორიკოსისა არ იყოს, „ყოველსა მოთხრობაი ძნელ არს, თუ ვისმე ნებავს ამისი განცდა, იხილენ ვარძიაი და საქმენი მისნი“.

რომ არაფერი ვთქვათ ათასობით ექსკურსანტებზე, წელს უკვე 5.000 ტურისტმა დაათვალიერა სართულებად ღმართული გამოქვაბულები. მნახველს ხიბლავს და აოცებს კლდეში გამოკვეთილი დარბაზები, წყალსადენის უძველესი ტრასა, თამარის რეზიდენცია, სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები, საიდუმლო გვირაბები მდინარემდე, „სალხინო“, მარანი, „თამარის ოთახი“.

მნახველი ჯიბის ფარნით მიიკვლევს გზას ღვთისმშობლის ტაძრიდან ეკლესიის დასავლეთ კარის გვირაბისაკენ, რომლის სიღრმეში ზიარ ბურჯზეა ფრესკა. ეს ფრესკა ეკლესიის ბურჯზეა აგებული, მარად ელვევი, ცივი და სასიამოვნო წყაროს აუზია.

წელს საკავშირო მნიშვნელობის ტურისტულ მარშრუტებს — „ბორჯომი-ბაკურიანი-ვარძია“ ზეკრის გადასასვლელი „მიიკოვსკი- ქუთაისი-ბათუმი“ და „ბორჯომი-ვარძია-ბაკურიანი – ფოთი“ დაემატა კიდევ ერთი ახალი, რესპუბლიკური მნიშვნელობის მარშრუტი „თბილისი-ბორჯომი-ვარძია“.

არაერთი ტურისტი, მოგზაური, მკვლევარი მოხიბლულა გალავნებით დაგრაგნილი ამ მრგვალი ქალაქით, მისი კოშკებით და ნაბურჯალებით. როცა მიკოლა ბაჟანმა თმოგვის გზაზე პირველად იმოგზაურა, თქვა:

შიგ მის წიაღში, როგორც შავად
შეკრულ ურნაში,
კვამლივით ბრუნავს წინაპართა
ძვლების ნაცარი,
ფუღეროებად დახეთქილა დროთა
ბრუნვაში
ყველა დარბაზი, ყველა ციხე, ყველა
ტაძარი“.

რა არ მოხიბლავს ამ გზაზე ტურისტს. წუნდის ეკლესია, ისტორიული ასპინძის ციხე, სახელგანთქმული საფარის მონასტერი, დიდებული ზარზმა. ზვრები და ბაღები, მხარგაშლილი ქალაქი ახალციხე, წალკოტში ჩაფლული სოფლები და დაბები.

• • •

ჰ. ხვადაძე,

სურათზე: ვარძიის ხედი.



ზაქარია ხოსიტაშვილი

ზაქარია ხოსიტაშვილს კარგად იცნობენ ტამგორის რაიონში. ხშირად მას მეტსახელად „დიდმელ პაპას“ ეძახიან.

ზაქარიამ ბავშვობიდანვე შეიყვარა ვაზი. სად არ უმუშავნია მას— მევენახეად, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკად. ახლაც საზრუნავი ბევრი აქვს. მას ხშირად შეხვდებით დიღმის მეურნეობის ზვრებში. ენერგიულად შრომობს, ეხმარება მშობლიური სოფლის მშრომელებს.

ზაქარია ხოსიტაშვილი დიდად გაახარა დიღმის მეურნეობის უხვმა მოსავალმა.

სურათზე: ზაქარია ხოსიტაშვილი.

ფოტო ვ. უუშიტაშვილისა.

ლიდეროობენ ლატვიელები

გუშინ, 11 სექტემბერს, საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ტრადიციულ ტურნირზე შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ კოსტანეცკი-ბლაგიძე და კლიავინ-ეტრუკი. ნიმ თავისი პარტია კამპენუსთან გამარჯვებამდე მიიყვანა.

გათამაშებული ხუთი ტური შემდეგ სამნახევარ-სამნახევარი ქულით ლიდერთა ჯგუფში არიან: ოსტატები ბლაგიძე, ბუსლაევი, ბარშაუსკასი (ლიტვა), კლიავინი (ლატვია), ოსტატობის კანდიდატი ეტრუკი (ესტონეთი).

გუნდურ ჩათვლაში წინ არის ლატვიის გუნდი, რომელსაც ოცი შესაძლებლიდან 11 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მეორე ადგილზეა ლიტვის გუნდი — 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, საქართველო — 9,5 ქულა, ესტონეთი — 9 ქულა.

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ. ისინი დათვალიერებენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ხვალ, 13 სექტემბერს, შედგება მორიგი, მეექვსე ტური.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ოლ. ემაძე და დ. მვანცელაძე ჩემპიონები

ბალინში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში ოთხ წონით კატეგორიაში. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ო. ემაძე (მძიმე წონა) და დ. მვანცელაძე (მსუბუქი წონა), მათ დაუმარცხებლად ჩაატარეს მთელი ასპარეზობა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპორტიო ტიტული მოიკოვეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ აბრეთვე მოსკოველი კიროვი (საშუალო წონა) და ლენინგრადელი რუჩინი (მძიმე წონა).

„სპარტაკის“ პირველობაზე

ოდესაში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო პირადგუნდური პირველობა ჭიდაობა „სამბოში“. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ძლიერად ჩაატარეს ასპარეზობა და პირველი ადგილი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 14 სპორტსმენიდან 11-მა სპარიზო ადგილები მოიპოვეს.

„სპარტაკის“ ჩემპიონები გახდნენ: ვ. ნახუცრიშვილი (მჩატე წონა), ზ. ქურხული (ქვემსუბუქი წონა), გ. სულაშვილი (საშუალო წონა), ა. ფიცხელაური (ქვემძიმე წონა). მეორე სპარიზო ადგილები დაიკავეს: ო. ხეჩუაშვილმა, ნ. სულაძემ, თ. გოგოლაძემ და გ. გურგენიძემ. მესამე ადგილზე გავიდნენ: ა. ჯანგობეგოვი, რ. დათუნაშვილი და ი. ჯარიშვილი.

დღეს ბელგრადში

იუგოსლავიის დედაქალაქში იწყება ევროპის უძლეურეს მძლეოსანთა ასპარეზობა. საბჭოთა კავშირიდან ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი სპორტსმენები: ვ. ბრუმელი, თ. პრესი, პ. ბოლოტნიკოვი, რ. ფავლაყაძე, ი. ტერ-ოვანესიანი და სხვები.

პირველი მსოფლიოში

ლიუცერნი (შვეიცარია) დამთავრდა სპორტის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ივანოვმა, რომელმაც ერთმოსასმელიანი ნავით მსოფლიო ჩემპიონის სპატიო ტიტული მოიპოვა. წარმატებით გამოვიდა გაერთიანებული გერმანიის გუნდი; მათ 7 პირველი ადგილიდან 5 დაისაკუთრეს. სხვადასხვა ადგილიანი ნავებით საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს აგრეთვე სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი.

ახალი რეკორდი

ბუდაპეშტი, 10 სექტემბერი. (საკდესი). ევროპის ახალი რეკორდი ოთხს ტყორცნაში დაამყარა ახალგაზრდა უნგრელმა სპორტსმენმა დიულა ჟივოცკიმ. შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც აქ გამართა ევროპის ჩემპიონატის წინ, მან ოთხ ტყორცნა 69 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე. ეს 5 სანტიმეტრით აღემატება კონტინენტის რეკორდს, რომელიც მანვე დაამყარა 1960 წლის აგვისტოში.

პრეზიდენტი გამოვლინდა

ბრიუსელი, 10 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ლიეჟში დამთავრდა საერთაშორისო შაშის მსოფლიო ჩემპიონთან საჭოთა დიდოსტატ ისერ კუპერმანთან მატჩის პრეტენდენტთა საერთაშორისო ტურნირი.

შეუპოვარ ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლება მოიპოვა ცნობილმა სენეგალელმა მეშაშემ ბაბა სიმ.

კუპერმანისა და ბაბა სის ორთაბრძოლა გაიმართება 1963 წელს მსოფლიო ჩემპიონის სამშობლოში. ამ მატჩის ზუსტი თარიღი დამტკიცდება მსოფლიო საშაშო ფედერაციის უახლოეს კონგრესზე.

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

კ. მარჯანიშვილის იუბილეზე

მოკლედ

□ მაზარაძე. (საკ. კორ.). რაიონის პოლიკლინიკაში ზრუნავენ ავადყოფთა საუკეთესო მომსახურებისათვის.

კეთილი მომსახურების ჯგუფს მარტოხელა ავადყოფებთან შინ მიაქვს წამლები. პოლიკლინიკასთან გაიხსნა საფთიაქო ფარდული, რომელიც მზა წამლებს აწვდის მომხმარებელს რეცეპტების მიხედვით.

□ უვაველი. (საკ. კორ.). ენინსლის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელს თვრამეტი წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე აქ მომზადებულია 2.600 სპეციალისტი.

ამას წინათ სასწავლებელმა სპეციალისტთა ახალი ნაკადი გამოუშვა. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სამუშაოდ გაგზავნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი 50 ზეინკალი, 25 ხარატი, 28 ელექტრომეკანიკოსი და სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი 25 ზეინკალი.

წელს სასწავლებელში ეს ახალგაზრდა ჩაირიცხა.

□ ამბროლაურის სარაიონო კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო თვითმოქმედი მხატვრების, მოქანდაკეების, ქარგვის ოსტატების ნამუშევართა გამოფენა.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევს პ. მკერვალიშვილის, მ. ჯინჭარაძის, გ. ჭელიძის პეიზაჟები, ნატიურმორტები, რ. ვაჩაძის ქანდაკებები „ჯაკი წერეთელი“, „უცნობი ქალიშვილი“. მ. კიკვიძეს ფერადი ძაფებით ამოუქარგავს სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის სახე.

გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. კონკურსში გამარჯვებულთა ნამუშევრები წარდგენილ იქნება რესპუბლიკურ გამოფენაზე.

ა. კერესელიძე.

ულტრაბგერის კიდევ ერთი პროფესია

გარეგნულად ახალი ჩარხი არაფრით არ განსხვავდება ვერტიკალურად მბურღავისაგან. მაგრამ თუ მის კორპუსში ჩავიხედავთ, შეიძლება დავინახოთ ულტრაბგერითი რხევების გენერატორი. ამ ჩარხს იყენებენ ძნელად დასამუშავებელი მასალისაგან დამზადებულ დეტალებში ნიგა ჭრილების გასაკეთებლად.

ჭრილის გაკეთება ისეთ მასალებში, როგორიც არის კერამიკა, ადვილად მსხვრევადი პოსტამასა, მყარი შენადნობი, ხელოვნური ქვა, არც თუ იოლია. ამის მიუხედავად, ამოჭრა ხდება სრულიად უბრალოდ და სწრაფად, როდესაც საჭელ ინსტრუმენტში წარმოიქმნება ულტრაბგერითი რხევები.

ულტრაბგერის მეშვეობით ახლა შეიძლება ძნელად დასამუშავებელ მასალებში უმაღლესი კოასის სიზუსტისა და ზედაპირის მაქსიმალური სისუფთავის მქონე ჭრილის გაკეთება.

ახალი ტექნოლოგიით თითქმის ორჯერ მცირდება ძალისმიერი ჭრა. ინსტრუმენტის გამძლეობა რვაჯერ იზრდება. ყველაფერი ეს ლაპარაკობს ახალი ჩარხის დიდ ეკონომიურ ეფექტზე. ჩარხი შექმნეს მოსკოვის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჯელეფონის ზარი

იუმორისტული მოთხრობა

ლუდის ქარხანა „მოჩუხჩუხე შარბათი“ რაიონის სიამაყედ ითვლებოდა. ამიტომაც, თუ ვინმე საპატიო სტუმარი ფეხს შემოადგამდა რაიონის საზღვარს აქეთ, იგი, როგორც წესი, თავს ვერ დააღწევდა ქარხნის ხელმძღვანელების მასპინძლობას.

დირექტორის კაბინეტში საგანგებოდ იდგა შუშის კარადა, ოქროს ჩარჩოში ჩასმული შთამბეჭდილებათა წიგნების მრავალი ტომით გაჟეღილი, და ავქსენტი ვახვახაძეს რომ ჰკითხავდა ვინმე ქარხნის მუშაობაზე რაიმეს, იგი თითს კარადისკენ გაიშვერდა მედიდურად:

— ჩვენი ნამუსი ეს წიგნებია... არ ვიყოთ კარგნი, შეგვაქებდა ვინმე?! მეტი არ არის ჩემი მტერი...

სახელიც მომხიბლავი ჰქონდა ქარხანას. ყოველ შემთხვევაში, რამდენი პოეტიც ესტუმრა „მოჩუხჩუხე შარბათს“, ფლინ მოსათქმელად გამართულ ნადიმზე ყველამ ვალდებულება იკისრა სულ მცირე სამი ლექსის დაწერა. და აიე ღმერთი როგორ გაუწყრებათ, გულშიჩამწვდომ თითო ლექსს მაინც არ აღირსებენ პოეზიის მოყვარულთ?!

რაც შეეხება ქარხნის დირექტორს — ვახვახაძეს, იგი მთელ რაიონში ცნობილი იყო როგორც პრინციპული და დიდი გაქანების კაცი.

ქარხანაში მუშაობის სულ მოკლე დროის მანძილზე პირადი განკარგულებით დირექციისათვის ააგო შენობა, რომელსაც საშვილიშვილოდ შეერქვა „საოცარი სახლი“. თვითონ დირექტორი კი თავმდაბლობით თავის რეზიდენციას უწოდებდა.

ავქსენტიმ საკუთარი სახლის მშენებლობაზეც არ დაიშურა ქარხნის კეთილმოწყობისათვის განკუთვნილი სახსრები და თეთრი მარმარილოსა და თიოის სიმსხო შუშისაგან ისეთი მოდერნიზებული ნაგებობა წამოჭიმა დაბის ძაღლებულ ადგილზე, როგორც ეს მაღალი გემოვნებისა და მაშტაბური გაქანების ადამიანს შეეფერება.

—როგორ ფიქრობ, ავქსენტის ჭირიმე... ცოლი რომ აშენდებოდეს ერთი პატარა... სულ პატარა აუში ჩვენს ლამაზ სახლს დაუშავდებოდა რამე?! — თვალების ჟუჟუნით ჩაუდუდღუნა სამსახურში მიმავალ ქმარს ცოლმა.

— ყოჩაღ, რომ შემახსენე!.. პატარა რა საკადრისია,—თავი გამოიდო ავქსენტიმ, — დღესვე გავაკეთებინებ, იმასაც ნახავ...

— ჩემო ასიკო, კი, მაგრამ... ცარიელ აუზს გინდა რომ ვუცქირო, თუ?! — ბავშვივით ატირდა ქალი.

— ფუ დამაქცევ, შენ დამაქცევ, შენ კი დაგენაცვლე!.. — მსუქანი თითი ლოყაზე მოუცაცუნა ახალგაზრდა ცოლს ავქსენტიმ და ბედნიერებით რეტდასხმულმა ყურებამდე დაიფრინა პირი: — აუზს წყალი გავავსებთ, შიგ ლამაზ კენჭებს ჩავყრით და ოქროს თევზების თამაშით შევიქცევთ თავს. რავარია?

— კარგია! — თვალები აუციმციმდა ცოლს.

— გიხარია?

— ძალიან, ძალიან, ძალიან...

— მეც მიხარია, დაგენაცვლე...

ვახვახაძე, თუ საქმე მოითხოვდა, ჭიანჭველას ფრჩხილს არ ატკენდა, მაგრამ თუ კი მისი ფიზიელი თვალი რამე უწესობას შენიშნავდა, დამნაშავეს არ ასცდებოდა დირექტორის რისხვა თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

— რაშია საქმე ამხანაგებო!.. — როგორც წესი, თვალების ბრიალით იწყებდა ყოველთვის გამოსვლას ვახვახაძე: — გუშინ ლუდის კასრების დატვირთვა მაჩანებზე ოტომ დაიწყო ფუტკარაძის ბრიგადამ სამი წუთის დაგვიანებით? არა, რა უფლებით? რა საბაბით?

—სამი წუთი რა სალაპარაკოა? — მოისმა ვიღაცის მორიდებული ხმა.

— ცხობისათვის: სამი წუთი ას ოთხმოცა წამს უდრის, დიახ!.. ახლა ამ ციფრს თუ გადავამრავლებთ მუშახელით გაცდენილ ეფერგაზე, ჩვენ მივიღებთ ქარხნისათვის მიყენებული ზარალის ყოვლად შეუწყნარებელ შედეგს... ეს, ამხანაგებო, სასამართლოს ენახე ბოროტმოქმედებაა! ბოროტმოქმედნი კი ისჯებიან კოდექსის თანახმად და არც ჩვენ ვაპირებთ მოვეფეროთ ვინმეს. გასაგებია, ხომ?.. ჰოდა, აბა პირდაპირ გადავდივარ მეორე აღმაშფოთებელ ფაქტზე... ამხანაგო ტრიფონ მელია, თქვენზე საჩივარია.

— ჩემზე, ბატონო?! — ნელა წამოდგა დამფრთხალი ტრიფონი და ენის ბორძიკით ეკითხება: — ვინ მიჩივის, ბატონო?

— მე გიჩივი!.. მე, ჩემი სამივე მოადგილე, ჩემი პირადი მდივანი, ბუხჰალტერი და ათასი სხვაც... ხომ არ გეცოტავებით?

— რას მერჩით, ბატონო? — ათად მოიკეცა ტრიფონი.

— უწესრიგობაა შენს მაღაზიაში. კი, ასეა ეს და არ გამიმართო ახლა აქ დისკუსია!.. რაგა, გუშინ შენ არ იყავი, გრამი ყველი რომ დაიკელი ჩემს პირველ მოადგილეს? — ხმას აუწია ვახვახაძემ.

— ავქსენტი ბატონო, მხოლოდ ერთი გრამი...

— სადაც არ არის გრამი, იქ კილოგრამიც ვერ გახდება. არ იცი ამდენი არითმეტიკა?

ბარგი შესწავლა, მაგრამ რაღა დროისაა... დავბერდი...

— მიხედე თავს, მიხედე და ისწავლე... ვის როგორ უნდა აუწონო საქონელი, თორემ... კი იცი ჩემი ხასიათი... გასაგებია, ხომ? ჰოდა, აბა პირდაპირ გადავდივარ მესამე აღმაშფოთებელ ფაქტზე... ქათამაძეს ვეკითხები: რატომ გვიზიდავს მეზობელი ფერმა მექანიზებული კასრებით რძეს?

— იმიტომ რომ რძე მარგებელია და კარგია რომ ესკალო ადამიანებმა, — მაზებირებელი ლექსიკით უპასუხებს რძის გამყიდველი.

— შენ კი რას სჩადიხარ, ამხანაგო ჯულეტა ქათამაძე?..

— ავქსენტი ბატონო, მომიკვდეს ყველა, ამ დილით თუ არ გამომეგზავნოს თქვენს ბინაში ცხრა ლიტრი რძე.

— მეათე სადღა გააქრე?

— ის ერთი ლიტრი თქვენს პირად მებაღეს გავატანე... ბავშვი ჰყავს ავად, შეშეცოდა სიცხიანი ბაღანა...

— ვის ჰყავს ბავშვი ავად, ჩემს მებაღეს?! — შუბლში ხელი შემოიკრა ვახვახაძემ. — ო, შენ რა გითხრა, ჯულეტა ქათამაძე. მართლა მოსახსნელი ხარ სამუშაოდან... ქალო, ამ კლდესავით ჯანმაგარ ცოლ-ქმარს რომ გვიგზავნი ცხრა ლიტრა რძეს და ავადყოფ ბავშვს მხოლოდ ერთს აძლევ, ადამიანი ხარ შენ ამის შემდეგ?!.. დაწერე განცხადება ახლავე, ამ წუთსვე, და არ გნახოს ჩემმა თვალებმა ახლო-მახლო ტერიტორიაზე.

— მოეკაეთ, ავქსენტი ბატონო?! — ქვითინით დაჯდა ქალი.

— ხმა!.. თაღლითობას არავის ვაპატიებ, ეს იცოდეს ყველამ!..—მოისხანედ გადახედა კრების მონაწილეებს ვახვახაძემ და კეფაზე სიმინდის ფოჩივით შემორჩენილ თმაზე სათუთად გადაისვა ხელი. — კუთხეში რომ ამოფარებიხარ ხელოვნურ პალმას, გგონია შენ კი შეგიჩინა უწესობა, ამხანაგო კინწურაშვილო?

კინწურაშვილი უმალვე ფეხზე წამოიჭრა, ქუდი მოიხადა და გაოგნებულმა იკითხა:

— რა დავაშავე, ამხანაგო უფროსო?

— ამ დილით მაწყინეთ საით მიაქროლებდი იმ კოხტად დაწყობილ შუშას?

— თქვენი პირადი მდივნის განკარგულებით თქვენი მესამე მოადგილის პირად საცხოვრებელ სახლში! — პატაკივით მიაყარა მძღოლმა.

— მდა!..—ჩაახვალა ვახვახაძემ და ბორჯომის წყალი მოიშველია. — მერე, მოძრაობის წესები არ იცი, შე ფეთიანო?..

— ვიჩქარობდი, მაპატიეთ...

— აჩქარებთია, ჩემო ძმაო, სოფელი არავის მოუპამია. თავს მიხედე. პრასა კი არ ხარ, მეორედ ამოხვიდე.

ბოლოდ ოცეული დაგვეცა... — თაგვივით ტეჩები აიცმაცურა აკანკალებულმა მოხუცმა.

—მერე, რამ დაგაბნია, შე გლახა!.. აბა, საკადრისი პურ-მარილი ნამგზავრებს და სავსე კოკები ჩაციებული ღვინით! — თვალების ბრიალით გადაულაპარაკა ვახვახაძემ, საჩქაროდ დახურა კრება და ხელგაშლილი გაემართა სტუმრების მისაგებებლად.

მაგრამ სტუმრები მეტად უმადონი გამოდგნენ. ვერავითარმა საწებლებმა და ნიორწყალში ჩაწყობილმა ქორფა ვარიებმა ვერ გაუხსნეს შეკრული კრიჭა ჩამოსულებს.

ვერც კოკებმა ზიდა ამ ჯერად ღვინო. ისე დამბსხვრნენ, აღარავის ჰქონდა იმედი, იმათ გამრთელებას თუ შეძლებდა ვახვახაძე. და მხოლოდ თვითონ ავქსენტი არ კარგავდა იმედს.

— შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს ჩემი თავდადებული მუშაობის ყველა ეპიზოდი... შევცდი, დავაშავე, ასეა, კი, ათასჯერ კი, კი... არ ვაღიარებ, თუ?!.. მაგრამ დედა შეიბრალეთ, ხალხნო, ჩემი საბრალო დედა... ერთიც ვნახოთ, წნევამ დაარტყა მოხუცს?.. ვინ იქნება პასუხისმგებელი ჩემი ოჯახისადმი მიყენებული გამოუსწორებელი უბედურებისა?.. ვინ მიშველის მერე?!... ბოლოს და ბოლოს, აქამდე დამნაშავეს უმსუბუქდებოდა სასჯელი სიმართლის აღიარებისათვის და მე რატომ უნდა დავიჩაგრო?... თუ ყველას ძარღვებში გაუცივდა სისხლი და კაცის გოდებას აღარავინ აღარაფრად აგდებს?! — კარდაკარ დადიოდა ვახვახაძე და გულშემატკივრებს ეძებდა.

გულისამაჩუყებელმა სიტყვებმა ძარღვებში სისხლი შეუთბო მაინც ერთ ვიღაცას. იმ ვიღაცამ მეორე ვიღაცას დაურეკა, იმან კიდევ მესამე ვიღაცას. კონვეიერული გადაცემის მაგვარად აწკარუნდნენ ერთმანეთის მიყოლებით ტელეფონის ზარები და... გაჭრა ავქსენტის ოფლმა.

— ბედმა სულ არ გაგვწირა, ხომ კი, ჩემო ასიკო?.. — ოხრავდა ახალგაზრდა ცოლი.

— აბა როგორ... ქარხანაში მიღებული გამოცდილების პატრონს ტრესტის მმართველობის მხარდაჭერა არ მეკუთვნოდა?! — შეიფერა ცრლის თანაგრძნობა ავქსენტიმ და გულში გულწრფელად დალოცა ტელეფონის გამომგონებელი: — მეცნიერებას რა ეუთხარი მედიცინის დარგში, თორემ იმ კაცს ახლა რომ ეცოცხლა, იცოცხლე ჩავაპურმარილებდით საღმე მიღმა ჩერობი... კი, დიდი ძალა აქვს ტელეფონის ზარს, უშველებელი ძალა!..

— თქვი ბარემ, რომ ყოველთვის ერთნაირი ძალით არ წკარუნობს ტელეფონის ზარი,—გაეღიმა ეშმაკურად ცოლს.

— აბა შენ როგორ გეგონა, ტელეფონი მხოლოდ კავშირგაბმულობის საშუალებაა?!—აროხოხდა ავქსენტი. — მეტი არ არის ჩემი მტერი...

ნანა კანდელაკი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ნაკადული** — შვიდი ძიძა, **ამირანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **გაზაფხული** — ადამიანები და მზეცები (პირველი სერია), **ისანი** (საზაფხულო), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — როკო და მისი ძმები, **კომკავშირელი** — შვიდ ქარზე, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ჩვეულებრივი ისტორია, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) — ჩემი სიხარული, **ოფიცერთა სახლი** — გლახის ნაამბობი, **კოლმეურნე** — ადმირალი უშაკოვი, **დიდუბე** (საზამთრო) — ხალხთა სასამართლო, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — საიდუმლოების გასაღები, **თანამგზავრი** — ოპერაცია „იოტი“, **მზიური** — მოჩვენებები შპასარტის კოშკში.



13 სექტემბერი
პირველი პროგრამით

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — ვალსები ოპერეტებიდან, 09.20 — კიუი. პატარა სიუიტა, 11.00 — გადაცემა — „ლაპარაკობს ბათუმი“, 11.15 — ნაწყვეტები როსინის ოპერებიდან. 12.15 — ქართული კამერული მუსიკა, 12.45 — ბ. მოკროუსოვის სიმღერები, 13.40 — კონცერტი „მელოდიიდან მელოდიამდე“, 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ზეიმელის მოთხრობა „შუბით იაგუარის წინააღმდეგ“,